# რუსეთის მიერ ავტორიტარიზმის ხელშეწყობა საქართველოში

ლია ლომიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზარინა ბურკაძე, ასოცირებული პროფესორი

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

**თბილისი, 2021**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის თემაა რუსეთის მიერ ავტორიტარიზმის ხელშეწყობას საქართველოში. რუსეთისთვის ის ცვლილებები, რომელიც ვარდების რევოლუციას მოჰყვა მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან მოსკოვის აზრით ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმების ცვლილებას შესაძლოა გარკვეული ეფექტი ჰქონოდა რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის ცვლილების მოთხოვნაზე. ამდენად, რუსეთმა ავტორიტარიზმის გავცელების ხელშეწყობა დაიწყო და ამ გზით დემოკრატიზაციის პროცესის შეფერხება საქართველოში.

საქართველოს მიერ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე გადადგმულმა ნაბიჯებმა რუსეთის მხრიდან უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარება განაპირობა. რუსეთი ყველანაირი მეთოდებით ცდილობს დაიბრუნოს ძველი გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში და განსაკუთრებით კი საქართველოში. წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის თუ რა მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს იყენებს რუსეთი საკუთარი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად და როგორ ცდილობს საქართველო გაანუზელყოს რუსეთისგან მომდინარე ავტორიტარული გავლენები.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას: ნაშრომი შედგება, შესავლისაგნ, თეორიული, მეთოდოლოგიური და ემპირიული თავებისგან.

შესავალში წარმოდგენილია ნაშრომის აქტუალობა, კვლევის მიზანი, ამოცანები და ის მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იქნება ნაშრომში დასმული საკითხის შესასწავლად.

პირველი თავი ეძღვნება ზოგადად ავტორიტარიზმს, მის ცნებას, აგრეთვე, ამავე თავში წარმოდგენილია ისტორიული მიმოხილვა, თუ როგორ ვითარდება ავტორიტარიზმი დროთა განმავლობაში. მესამე თავში წარმოდგენილია ავტორიტარიზმის ხელშეწყობა, მისი ცნება და მასთან დაკავშირებული სისუსტეები. მეოთხე თავი კი ეძღვნება ავტორიტარიზმს რუსეთში, კერძოდ, წარმოდგენილია რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ამავე თავში საუბარია რუსეთის მიერ

გამოვწეულ დემოკრატიულ არასტაბილურობაზე ბელარუსში, უკრაინასა და საქართველოში. მეოთხე თავი ეძღვნება უშუალოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, ხოლო მეხუთე თავში განხილულია ის ინსტრუმენტები და მექანიზმები, რომლებსაც იყენებს რუსეთი საქართველოში ავტორიტარიზმის ხელშესაწყობად.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა, ერთგვარი შეჯამება საკითხისა და პასუხი შესავალში დასმულ კითხვაზე.

# Abstract

In this thesis, I study autocracy promotion by Russia in Georgia. Russia proactively started to support authoritarian tendencies after the Rose Revolution because of the fears of color revolutions and the potential of diffusion effects. Georgia's aspirations and concrete steps towards the Euro-Atlantic integration triggered Russian aggressive policies to counter the process of democratization in Georgia. This partly aimed at restoring old spheres of influences in the region and particularly in Georgia. This thesis studies the mechanisms and instruments Russia used to achieve its strategic objectives and how Georgia attempted to neutralize the authoritarian pressures coming from Russia.

The thesis consists of theoretical, methodological, and empirical chapters.

The first chapter is devoted to authoritarianism in general, its notion, and next chapter provides a historical overview of how authoritarianism evolve over time. The third chapter presents the notion of authoritarianism, and the weaknesses associated with it. The fourth chapter is dedicated to authoritarianism in Russia, in particular, it demonstrates Russia's domestic and foreign policies. Democratic instability caused by the Russian Federation in Belarus, Ukraine and Georgia is also studied. The fourth chapter is devoted directly to the Russia-Georgia relations, while the fifth chapter discusses the instruments and mechanisms that used to promote authoritarianism in Georgia and Russia. Finally, the conclusion summarizes the analysis and answers the research questions.